MES 1 20 0001173039

08/12/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 24.11.2020
სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 20: 20 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული**-სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - სხდომის მდივანი;
6. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;

9. **ირმა წერეთელი-** გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
10. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
11. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
12. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
13. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხალმძღვანელი, პროფესორი;
14. **გაიანე სიმონია** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
15. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
16. **რომეო გალდავა** - სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1.	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2.	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3.	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ვახტანგ ლეჟავა	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	რექტორი	I
2	ნათია სამუშია	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	პრორექტორი	I
3	მარინა ქარჩავა	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	პრორექტორი	I

4	ანკა თაბუკაშვილი	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	I
5	მარიამ გაბუნია	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	I
6	თამუნა გეგეშიძე	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი	I
7	შაკო თავაძე	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	სტუდენტების დეკანი	I
8	თეა ოდიშვილი	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	I
9.	მარიამ ჯაფარიძე	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	საერთშორისო ურთიერთობების კოორდინატორი	I
10.	რევაზ ხოფერია	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	სამართლის სკოლის დეკანი	I
11.	ნანა სანებლიძე	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	სამართლის სკოლის კოორდინატორი	I
12.	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II
13.	ივანე ჯაგოდნიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	II
14.	ეკატერინე შაკიაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II
15.	ალექსანდრე სიჭინავა	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ ხელმძღვანელი	II

16.	დავით იაკობიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	II
17.	დალი სეხნიაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	II
18.	ირინე მამალაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	II
19.	ნატო ჩიკვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	II
20.	ტარიელ კიკვაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	II
21.	დემნა კვარაცხელია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	II

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	ნინო ბოგვერაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნონა ზუბიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ლევან მოსახლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ილია წიკლაური	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	გოჩა თუთბერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	მერაბ კაკულია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ნინო ტალიკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ,,სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა აღნიშნული დღის წესრიგი.

1. პირველი საკითხი: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ,,სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11.11.2011 N265
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	
12	კვალიფიკაციის კოდი	0421
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	241
15	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 240, თბილისი 0159, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმღვანელმა ნინო ბოგვერაძემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა 2020 წლის 21 სექტემბერს, ინტერვიუირების პროცესი მიმდინარეობდა 10:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე, დისტანციური ფორმატით ელექტრონული კომუნიკაციების (პროგრამა ზუმით) საშუალებით. ვიზიტი გაიმართა კონსტრუქციულ გარემოში, ადმინისტრაცია მზად იყო თანამშრომლობისათვის, რაც გამოიხატა როგორც ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხების განმარტებისა და სხვადასხვა პანელზე მონაწილე პირების დასწრების უზრუნველყოფის, ასევე ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენაში.
პირველ პანელში ინტერვიუ შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. განმარტებული იქნა უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან, პროგრამის შემუშავებასა და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტები.
ვიზიტის მომდევნო პანელი დაეთმო თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრას და განმარტებული იქნა სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციისათვის მომზადების პროცესი და მასში სხვადასხვა პირთა ჩართულობა.
ვიზიტის მესამე პანელში ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელთან და განმარტებული იქნა პროგრამასთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი ასპექტები.
მომდევნო პანელი დაეთმო შეხვედრას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, დისტანციურად განხორციელდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება და შემდგომ შედგა შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დამოუკიდებელ პანელებში.
მომდევნო პანელების ფარგლებში ინტერვიუები ჩატარდა პროგრამის სტუდენტებთან, პროგრამის კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებსა და სტაჟირების განმახორციელებლებთან. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაუზიარა სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესახებ ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.
ჯგუფის თავმჯდომარემ დაამატა რომ, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია მასზე დაშვების წინაპირობები. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, კერძოდ, კურიკულუმი მოიცავს 241 კრედიტს (ერთი კრედიტი უტოლდება სტუდენტის დატვირთვის 28 საათს) და შედგება შემდეგი მოდულებისაგან: საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება - 50 კრედიტი; სამართლის ძირითადი განათლება - 149 კრედიტი (აქედან საბაზისო განათლება - 24 კრედიტი, საჯარო სამართალი - 34 კრედიტი, სისხლის სამართალი - 22 კრედიტი, კერძო და ბიზნეს სამართალი - 47 კრედიტი, პროფესიული უნარების განვითარება - 22 კრედიტი); სამართლის პრაქტიკული განათლება - 27 კრედიტი; სამართლის სავალდებულო არჩევითი საგნები - 12 კრედიტი; სამართლის ნებაყოფლობითი არჩევითი საგნები - 20 კრედიტი; ზოგადი პრაქტიკული განათლება - 3 კრედიტი. არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია არჩევითი სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობები და თანმიმდევრობა. პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას. პროგრამა შეიცავს სასწავლო გეგმას. სამართლის საბაკალავრო პროგრამის

სტიდენტებისათვის, მათი არჩევის შემთხვევაში, დამატებით გათვალისწინებულია სასწავლო გეგმა ბიზნესისა და ფინანსების დამატებითი სპეციალობისა და სასწავლო გეგმა მართვასა და საჯარო პოლიტიკის დამატებითი სპეციალობისათვის, რაც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს, დაინტერესების შემთხვევაში, მიიღონ ცოდნა ბიზნესსა და ფინანსებში ან მართვასა და საჯარო პოლიტიკის მიმართულებით. პროგრამის ანალიზის თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ შესაბამის დარგობრივ დისციპლინებში თეორიული ცოდნის მიღებასთან ერთად, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ განავითარონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები თითოეულ დარგობრივ დისციპლინაში როგორც სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული უნარების განვითარების კომპონენტის, ასევე სამართლის კლინიკებისა და იურიდიული პრაქტიკის მეშვეობით. ამ თვალსაზრისით - სტუდენტისათვის თეორიული ცოდნის გადაცემასთან ერთად განსაკუთრებული აქცენტირებით პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, მათ შორის კლინიკებში რეალურ საქმეებზე მუშაობის ფორმატში, პროგრამა გამორჩეულია და პასუხობს შრომის ბაზრის გამოწვევებს.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ისაუბრა განსაზღვრულ რეკომენდაციებზე:

1. მიზანშეწონილია, დოკუმენტურად აისახოს უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი და ანალიზის შედეგების მიხედვით პროგრამაში განსახორციელებელი/განხორციელებული ცვლილებები. სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი, სამიზნე ნიშნულებთან დადარება, პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების ანალიზის განხორციელება შესაბამისი შემაჯამებელი ან პერიოდული დოკუმენტების მეშვეობით მიზანშეწონილია სწავლის შედეგების მიღწევის, სრულყოფილი ანალიზისა და პროგრამის გაუმჯობესების შესაბამისი ქმედებების დაგეგმვა/განხორციელებისათვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მიერ ანალიზის ეფექტურად განხორციელებას, ინფორმაციის თავმოყრას და გამოვლენილი ხარვეზების შესაბამისად ცვლილებების საჭიროებებს, არსებობის შემთხვევაში;
2. აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის შემუშავებასა და შემდგომ განვითარებაში მოქმედი სტუდენტების ეფექტური ჩართულობის ღონისძიებები;
3. მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სილაბუსების მუდმივი გადამუშავება როგორც მასალის განახლების, ასევე მოცულობის კუთხით და ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფის მიზნით;
4. მიზანშეწონილია, მოხდეს დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, დამსაქმებლებთან გაფორმებულ სხვადასხვა ტიპის შეთანხმებებში სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობის, პრაქტიკის ხანგრძლივობის და მიზნობრიობის განსაზღვრა;
5. მიზანშეწონილია, სილაბუსებით გათვალისწინებული მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა დარგობრივი მახასიათებლებით გათვალისწინებულ მეთოდებსა და სწავლება-სწავლის პროცესში გამოსაყენებელ აქტივობებთან,
6. მიზანშეწონილია სილაბუსებში მკაფიოდ და ამომწურავად იყოს გაწერილი შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. სტუდენტს უნდა ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია, თუ როგორ, რა კრიტერიუმებითა და მეთოდებით შეფასდება;
7. მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების შედეგების გასაჩივრების ეფექტური, სამართლიანი და მიუკერძოებული მექანიზმის არსებობა;
8. საბაკალავრო პროგრამის სტანდარტის დაკმაყოფილების მიზნებისათვის მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა იზრუნოს გარე ხარისხის შეფასებაზე, რათა პროგრამა ფასდებოდეს მესამე პირის მხრიდან პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით;
9. მიზანშეწონილია, დაიხვეწოს უსდ-ის მიერ სტუდენტთა გამოკითხვის ჩატარების წესი და მეთოდოლოგია, რათა ის ასახავდეს რეალურ სურათს და მოხდეს ამ შედეგების ანალიზი;

10. მიზანშეწონილია, შეიქმნას პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგებისა და ამ შედეგების გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მიერ არ იყო წარმოდგენილი დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებდნენ პროგრამის გარე შეფასებას. პროგრამას აკრდიტაცია გავლილი აქვს 2011 წელს და შესრულებული აქვს ექსპერტთა მიერ განსაზღვრული ყველა რეკომენდაცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სტუდენტების შერჩევა ხორციელდება შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. პროგრამის შეფასებისას ექსპერტებმა ასევე იხელმძღვანელეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, რომლებიც ეხებოდა როგორც დამსაქმებლების, ასევე კურდამთავრებულების ჩართულობას პროგრამის განვითარებაში, თუმცა, აღნიშნულ დოკუმენტში არ იყო ფიქსირდებოდა სტუდენტთა ჩართულობის საკითხი.
მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ საუბარი იყო 2 საგნის სილაბუსსა და უშუალოდ სასწავლო მასალის მოცულობაზე. 3 და 4 კრედიტიანი საგნების სილაბუსებში მოცემული იყო საკმაოდ დიდი სასწავლო მასალა, შესაბამისად გაჩნდა კითხვა, თუ რამდენად შეძლებდა სტუდენტი აღნიშნული კრედიტების ფარგლებში მოცემული მასალის საფუძვლიანად ათვისებას.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ასევე განმარტა, რომ სამართლის პრაქტიკის უზრუნველსაყოფად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ასევე გაფორმებული აქვს მემორანდუმები/ხელშეკრულებები დამსაქმებელთან, თუმცა აღნიშნული დოკუმენტები არის ზოგადი ხასიათის ურთიერთთანამშრომლობის ჩარჩო და არ უთითებენ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, ასევე, პრაქტიკის მიზანს/მიმართულებას და ხანგრძლივობას. უსდ-ს ადმინისტრაციის მხრიდან დაფიქსირდა პოზიცია, რომ გაფორმებული მემორანდუმები არ ადგენს მხარეთა სავალდებულოდ შესასრულებელ ვალდებულებებს, ასევე, ყურადღება გამახვილდა იმ გარემოებაზე, რომ წინასწარ, დამსაქმებელთა ინტერესებიდან გამომდინარე შეუძლებელია ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა.
მნიშვნელოვანია, რომ ბაკალავრიატის დებულებით გათვალისწინებულია სტუდენტის უფლება, გამოცდების წესის შესაბამისად, საგამოცდო ნაშრომის გადამოწმება მოითხოვოს საგნის ლექტორთან. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან ინტერვიუზე აღინიშნა, რომ გასაჩივრების სხვაგვარი მექანიზმი არ არსებობს, ხოლო სტუდენტს ყოველთვის შეუძლია სასამართლო წესით გაასაჩივროს/იდავოს შეფასებაზე. ექსპერტთა ჯგუფის პოზიციით, გადამოწმების შესაძლებლობა არ უტოლდება გასაჩივრების უფლებას, ხოლო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა, გარდა იმისა, რომ ეფექტურ და მყისიერ შედეგზე ვერ იქნება ორიენტირებული, წარმოადგენს კანონმდებლობით მინიჭებულ და არა უსდ-ს მიერ უზრუნველყოფილ შესაძლებლობას. შესაბამისად, მიზანშეწონილია, უსდ-მ შეიმუშავოს შიდა გასაჩივრების ეფექტური, მიუკერძოებელი და სამართლიანი მექანიზმი.
სილაბუსების ანალიზის შედეგად, ჩანს რომ პროგრამის სილაბუსებში ნათლად არის განსაზღვრული სწავლის/სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და პირობები, რაც შეესაბამება საქართველოს განათლების შესახებ კანონმდებლობას. შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. ყველა სილაბუსში ახსნილი და განმარტებულია

შეფასების თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები. სილაბუსებში მითითებულია შეფასების მეთოდები, რაც თითოეული კომპონენტის მიხედვით სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს. თუმცა, გვხდება ზოგიერთი სილაბუსი, მაგალითად, საკონსტიტუციო სამართალი-სახელმწიფო მოწყობა I, შედარებითი სამეწარმეო სამართალი, სადაც შეფასების კრიტერიუმები და პირობები დეტალურად არ არის განმარტებული. ასევე, მაგალითად, ადმინისტრაციული სამართლის კლინიკის შეფასებებში ქულების რანჟირება დიდია. მაგალითად, კლიენტთან კომუნიკაციის კომპონენტის ქულებია: 20-18 ქულა, 17-13 ქულა, 12-7 ქულა, 6-1 ქულა. იგივე არის პასუხისმგებლობის კომპონენტის ნაწილში: 30-26 ქულა, 25-19 ქულა, 18-10 ქულა, 9-1 ქულა, 0 ქულა. ასევე სახელშეკრულებო სამართალში კაზუსის შეფასების ქულათა რანჟირება 18-11 ქულა, 15-12 ქულა, 11-7 ქულა, 6-1 ქულა, რაც შეიძლება იყოს ტექნიკური შეცდომაც. ამდენად, მნიშვნელოვანია, შესაბამისად მოდიფიცირდეს ზოგადად სილაბუსების გადამუშავების პროცესში შეფასების სისტემა, რაც გაფილტრავს როგორც ტექნიკურ შეცდომებს, ასევე ქულათა რანჟირებას გახდის უფრო გასაგებს სტუდენტებისათვის. შეფასების გზების დეტალური გამართული აღწერა, არამხოლოდ ლექტორისათვის არის ობიექტური შეფასების საფუძველი, არამედ სტუდენტსაც უნდა აძლევდეს საშუალებას, მკაფიოდ დაინახოს განსხვავება შეფასებებში და მიუსადაგოს საკუთარ ნაშრომს/ შეცდომებს.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა საკანონმდებლო მაცნესთან დაკავშირებით განსაზღვრულ რჩევაზე, კერძოდ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ საკანონმდებლო მაცნეს მომხმარებელი გააქტიურებულია ბიბლიოთეკაში, თუმცა აქვე განმარტეს, რომ ერთდროულად მხოლოდ სამ მომხმარებელს შეუძლია ამ ბაზით სარგებლობა. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს ისეთი ვერსია, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტების უფრო ფართო რაოდენობას ისარგებლოს ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე შინიდან.

გასათვალისწინებელია, რომ კანონდებლობა ადგენს მინიმალურ მოთხოვნას და სწავლის სფეროს სპეციფიკით და მოცულობით, ასევე სტუდენტთა საჭიროების შესაბამისად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საუნივერსიტეტო თავისუფლების ფარგლებში უნდა განისაზღვროს კრედიტების ლოგიკური გადანაწილების საკითხი. ამ კონტექსტში ყურადღება უნდა გამახვილდეს საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების კომპონენტზე, რომლის მოცულობა წინა აკრედიტაციის რეკომენდაციის შესაბამისად შემცირდა და ამჟამად წარმოდგენილია 12 სასწავლო კურსით დაკომპლექტებული 50 კრედიტიანი ზოგადი საუნივერსიტეტო განათლების კომპონენტის სახით. საუნივერსიტეტო 25 განათლების შესახებ ინტერვიუზე წარმოდგენილი სტუდენტების მხრიდან გამოვლინდა ცალსახად არაერთგვაროვანი დამოკიდებულება. საერთო ჯამში, ამ კომპონენტში შემავალი ცალკეული საგნების არსებობა სტუდენტების მიერ მათი პირადი/კონკრეტული ზოგადი ინტერესების მხედველობაში მიღებით შეფასდა დადებითად, ხოლო საგნების ნაწილი უარყოფითად. უარყოფითი შეფასება მიმართული იყო არა მხოლოდ ზოგადი განათლების კომპონენტში ცალკეული საგნების არსებობა-არარსებობის, ასევე იმის თაობაზეც, რომ ამ კომპონენტის ცალკეული კურსები (მაგალითისთვის, დასახელებული იყო ანთროპოლოგიის სასწავლო კურსი) არის იმდენად მოცულობითი, რომ მის დაძლევას სტუდენტთა გარკვეული ნაწილი ვერ ახერხებს (მოყვანილი იყო ერთ-ერთი სემესტრის მაგალითი, როდესაც სტუდენტთა დიდმა ნაწილმა ვერ გადალახა ანთროპოლოგიის სასწავლო კურსის მინიმალური ზღვარი). მეორე მხრივ, უსდ-ს ადმინისტრაციის მხრიდან დაფიქსირდა ცალსახა პოზიცია, რომ ზოგადი განათლების კომპონენტის არსებული სახით არსებობა უნივერსიტეტისთვის არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი. ზოგადი საუნივერსიტეტო განათლების კომპონენტის მიმართ თავად სტუდენტებში არსებული არაერთგვაროვანი დამოკიდებულების, ასევე იმ გამოწვევების გათვალისწინებით, რომლებსაც სტუდენტები აწყდებიან ამ კომპონენტში შემავალი ცალკეული სასწავლო კურსების გავლისას, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტმა ამ კომპონენტის სირთულეების/პრობლემების სიღრმისეულ კვლევაზე დაფუძნებით, საუნივერსიტეტო თავისუფლების ფარგლებში კვლავ უნდა გააგრძელოს

მოდიფიკაცია/განვითარება, რათა უპასუხოს და დააკმაყოფილოს სტუდენტთა კონკრეტული საჭიროებები.

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ: პირველი, მესამე და მეოთხე სტანდარტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მეორე სტანდარტი- მეტწილად შესაბამისობაშია, ხოლო მეხუთე სტანდარტი - ნაწილობრივ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა მიმოიხილა პროგრამის საუკეთესო პრაქტიკა, კერძოდ:
განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პროგრამაში ინტეგრირებული ე.წ. live client-ზე დაფუძნებული სამართლის კლინიკები (ბიზნეს სამართლის, სისხლის სამართლის, საკონსტიტუციო სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის კლინიკა), რომლებიც სამართლის პრაქტიკული განათლების მოდულის შემადგენელი ნაწილია და ეფექტურად ემსახურება სტუდენტების მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად განხორციელების უნარების განვითარებას სამართლის შესაბამისი მიმართულებით და სტუდენტების მიერ გამოცდილების მიღებას რეალურ საქმეებზე მუშაობის პროცესში.
USAID-PROLoG-ის ფინანსური მხარდაჭერით, სამართლის სკოლა ახორციელებს სამეცნიერო კვლევებს, ატარებს საჯარო ლექციებს, აკადემიურ კონფერენციებს, ადამიანის უფლებათა საუნივერსიტეტო კვირეულს, იმიტირებულ პროცესებსა და შეჯიბრებებს, უცხოური პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორებთან და სტუდენტებთან დისკუსიებს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის “ამიკუსების” შემუშავების მიზნით. ამ პროგრამის ბენეფიციარები თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორებისა და სტუდენტების გარდა ასევე არიან სხვა უნივერსიტეტის პროფესორები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული მხარეები.
სტუდენტთა დეკანი, სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახური და აღნიშნული სამსახურის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ოფისი წარმოადგენს აკრედიტაციის აღნიშნული სტანდარტის პრაქტიკაში განხორციელების გარანტს.
მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტში გამოყოფილია საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი სპეციალური სივრცე, რომელშიც სტუდენტს შეუძლია მოცდა ლექციათა შორის შუალედში. ასევე უნივერსიტეტში მისასალმებელია, სპეციალური სტუდენტთა საკონსულტაციო-სამუშაო სივრცე (რომელიც პანდემიასთან დაკავშირებით დროებით არ მუშაობს), რომელშიც სტუდენტს შეუძლია სხვადასხვა პროექტებზე მუშაობა, ჯგუფური შეხვედრების ორგანიზება და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება.
მნიშვნელოვანია ასევე, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით. უნივერსიტეტმა შეასრულა აღნიშნული გადაწყვეტილებისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად განსაზღვრული რეკომენდაციები, კერძოდ, ზოგადი განათლების საუნივერსიტეტო საგნების კომპონენტი (70 ECTS) შეიცვალა საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების კომპონენტად (50 ECTS), გაიზარდა სახელმწიფო მოწყობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების შესახებ საკონსტიტუციო სამართლის სწავლების მოცულობა, 4 ECTS-და 8 ECTS-მდე; პროგრამას დაემატა სამართლებრივი წერისა და პროფესიული ეთიკის კურსი (რომელიც შემდგომ მოდიფიცირდა იურიდიული ეთიკის სასწავლო კურსად); გაიზარდა არჩევითი საგნების რაოდენობა. ამასთან, სამართლის ძირითადი საგნების მოდულს დაემატა შრომითი ურთიერთობების სამართლის კურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იმისთვის რომ უნივერსიტეტში არსებული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში ეჭვქვეშ იყოს დაყენებული, საჭიროა ფაქტობრივი გარემოებების არსებობა. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დასკვნის პროექტში არსად არ არის დასაბუთებული რეკომენდაციის წყარო, კერძოდ უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული მუდმივი პროცესების დოკუმენტურად ასახვის საჭიროება არ დასტურდება რაიმე ფაქტობრივი გარემოებით. უნივერსიტეტის ხარისხის სისტემა პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდებით უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის, ანალიზისა და პროგრამის გაუმჯობესებისთვის შესაბამისი ქმედებების განხორციელებას. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და სტრუქტურა ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიულ ხედვას. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა არა ერთხელ იქნა შეფასებული გარე ექსპერტების მიერ უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის პროცესების ფარგლებში. 2018 წლიდან დღემდე თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტიანობა დადებითად იქნა შეფასებული, როგორც უნივერსიტეტის ავტორიზაციისას, ასევე 14 საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისას. აქედან გამომდინარე დაწესებულებისთვის გაუგებარია თუ როგორ შეიძლება ერთი და იგივე მიდგომით, პროცესით, სტანდარტებითა და მონაწილეებით იღებდნენ განსხვავებულ შედეგს სხვა პროგრამების ფარგლებში და მხოლოდ ერთი პროგრამის ფარგლებში არ იყოს მიღწეული აღნიშნული შედეგი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა მე-2 რეკომენდაციასთან დაკავიშირებით, კერძოდ თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის შემუშავებასა და მის შემდგომ განვითარებაში მოქმედი სტუდენტები ჩართულნი არიან როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირი გზით. პირდაპირი გზით ჩართულობა გულისხმობს სასწავლო კურსებში წარმოდგენილი ცოდნის შემოწმების ფორმებსა თუ სხვა აქტივობებში მონაწილეობისას, ხოლო არაპირდაპირი გზა, გულისხმობს უკუკავშირის სხვადასხვა ფორმების გამოყენებას, როგორიცაა გამოკითხვებსა და ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობა, პროგრამის ადმინისტრაციასთან მჭიდრო კომუნიკაცია. სამართლის საბაკალავარო პროგრამის სტუდენტებს აქვთ აქტიური კომუნიკაცია დეკანსა და კოორდინატორთან. ამასთან, სამართლის სკოლაში არსებობს დანერგილი პრაქტიკა, სხვადასხვა კურსის მიხედვით ყოველ სემესტრული შეხვედრები დეკანსა და კოორდინატორთან. აღნიშნული პრაქტიკა პირველ რიგში, ემსახურება სტუდენტებისგან პროგრამასა და სასწავლო კურსებთან დაკავშირებით უკუკავშირის მიღებას ყოველსემესტრულად, ამასთან მიღებული უკუკვშირის გამოყენებას პროგრამის განვითარების მიზნით. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტს მიზანშეწონილად არ მიაჩნია მოცემული პრაქტიკის ფორმალური პროცესებით ჩანაცვლება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა მხოლოდ 5 სტუდენტს. შესაბამისად, მათი მოსაზრების ექსტრაპოლაცია მთლიან სისტემაზე არის მეთოდოლოგიურად არასწორი. შესაბამისად, პროგრამის განვითარების პროცესში მოქმედი სტუდენტები ყოველდღიურად არიან ჩართულნი, მათთან კომუნიკაცია ხდება მარტივად, ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე. შედეგად, დაწესებულებას მიაჩნია, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამა უკვე ითვალისიწინებს სტუდენტების ეფექტიანი ჩართულობის ღონისძიებებს, რომლებიც შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის თანახმად, სამართლის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსებში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული კურსის მიზანი, მიზნის შესაბამისად განსაზღვრულია საგნის შინაარის და სწავლის შედეგები. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თუმცა, ექსპერტთა მოსაზრებით, ზოგიერთ სასწავლო კურსთან დაკავშირებით შეიძლება საკითხი დაისვას სასწავლო შედეგზე გასვლის თვალსაზრისით. ასეთ სასწავლო კურსად ექსპერტებმა ჩათვალეს "სამართლის საფუძვლები“, კერძოდ აღნიშნული კურსი მოცულობითია და საეჭვოა

შეძლონ სტუდენტებმა შინაარსის დაძლევა. აკრედიტაციის ექსპერტებს ვიზიტი პერიოდში განემარტათ, რომ სამართლის საფუძლების სასწავლო კურსი არის საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების ერთ-ერთი კომპონენტი და ისწავლება არამარტო სამართლის სკოლის, არამედ სხვა სკოლის სტუდენტებისთვისაც. მრავალწლიანი სწავლების პრაქტიკაში არ გამოვლენილა არც ერთი შემთხვევა, როდესაც საშუალო დონის სტუდენტმა ვერ დაძლია კურსი, სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიუღწევლობის გამო. ის ფაქტი, რომ სასწავლო კურსი დაძლევადია არამარტო სამართლის საბაკალავრო პროგრამის, არამედ აგრეთვე, მაგალითად ბიზნეს ადმინისტრირების და მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებსბის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის, ადასტურებს სასწავლო კურსის სწავლის შედგების მიღწევადობას.

მე-4 რეკომნდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციაში მითითებული პოზიცია არ გამომდინარეობს რაიმე დასაბუთებული ფაქტიდან. სწორედ ამ შედეგის გათვალისწინებით დაწესებულებას მიაჩნია, რომ აღნიშნული პოზიცია არის დარგობრივი სტანდარტის ვიწრო და ფორმალისტური ინტეპრეტაცია. უნივერსიტეტის პოლიტიკა დამსაქმებლებთან ურთიერთობისას გამომდინარეობს სტუდენტთა ინტერესების უზრუნველყოფის მიზნებიდან. ამ მხრის თავისუფალ უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ პოზიტიური და მყარი რეპუტაცია სამართლის პროგრამის სტუდენტების დამსაქმებლებთან. თუ უნივერსიტეტის პოლოტიკა იქნება მიმართული რომ მოხდს ერთი, ორი ან თუნდაც სამი წლით ადრე ინფორმაციის მიღება და თან ორგანიზაციების დავალდებულება სტუდენტებისთვის სტაჟირებისა და დასაქმების შესალებლობების ხანგრლივობასა და რაოდენობაზე, ეს ცხადია არ იქნება სასურველი შედეგის მომცემი.

მნიშვნელოვანია ასევე მე-5 რეკომენდაცია, კერძოდ აკრედიტაციის ექსპრტების მოსაზრების თანახმად, სილაბუსებში მიტიტებული მეთოდები, მაგალითად კაზუსების შესწავლის მეთოდი არის არა მეთოდი, არამედ სწავლა-სწავლების მეთოდებისას გამოსაყენებლი აქტივობა. დაწესებულების აზრით, აკრედიტაციის ექსპერტთა მიდგომა დ მოსაზრება არის მკაფიოდ ტექსტუალური და უსაფუვლო. კაზუსის შესწავლის მეთოდი იურიდიულ სამყაროში აღიარებულია როგორც მთოდი, განხილული შესწავლილი და ასახული არაერთ სამეცნიერო პუბლიკაციაში. სწორედ ამიტომაც, თავისუფალი უნივერსიტეტი არ გეგმავს კაუსებზე დაფუნებული სწავლების მეთოდი გარდაქმნას აქტივობად. აქვე გაუგებარია რა შედეგის მომტანი შეიძლება იყოს მეთოდისთვის მეთოდის აქტივობის დარქმევა და ასეთი აქტივობის დაყოფა უნარების აქტივობებად. მსგავსი სახის ცვლილებები არ არის კავშირში არცს სასწავლო პროცესთან და არც ხარისის გაუმჯობესებასთან.

საყურადღებოა ასევე მე-6 რეკომენდაცია, აღსანიშნავია, რომ სლაბუსში დეტალურად არის გაწერილი შეფასები კრიტერიუმი. სილაბუსის თანახმად, საგანში შუალედური შეფასების კომპონენტებია: პრეზენტაცია და ზეპირი გამოკითხვა (20 ქულა), ქვიზი (10 ქულა), შუალედური წერიტი გამოცდა (35 ქულა) , ხოლო დასკვნითი შეფასება ხორციელდება დასკვნითი წერითი გამოცდით (35 ქულა). გარდა ამისა, სილაბუსში მითიტებულია თითოეული შეფასების კომპონენტის შემადგენლობა და ქულების ჩაშლა. ამასთან დეტალურად აღწერილია როდის და როგორ ტარდება პრეზენტაცია და ზეპირი გამოკითხვა და ქულების შესაბამისი განაწილება. მნიშვნელოვანია ასევე, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პროექტში აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციული სამართლის კლინიკის შეფასებებში ქულების რანჟირება დიდია. დაწესებულება აღნიშნულ პოზიცია არ ეთანხმება, რადგან საქართველოს კანონდმებლობა არ ადგენს რაიმე შეზღუდვას შეფასების ქულების რანჟირებასთან დაკავშირებით. სილაბუსებშ წარმოდგენილი შეფასების სისტემები დეტალური და მარტივად აღქმადია სტუდენტებისთვის, ამას ასრბული პრაქტიკა და გამოცდილებაც ასაბუთებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროგრამები აკრედიტებულია იმ სტანდარტის მოქმედების პირობებში, რასაც იყენებენ აკრედიტაციის ექსპერტები სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესაფასებლად. უნივერსიტეტში არც ერთ პროგრამაზე არ მოქმედებს

შეფასების გასაჩივრების განსაკუთრებული წესი. არ არის შექმნილი ლექტორების კომისია. სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს ლექტორს შეფასების გადახედვის მოთხოვნით, ხოლო ლექტორი სტუდენტს აწვდის უკუკავშირს. თუ ლექტორი მიიჩნევს, რომ სტუდენტის მოსაზრებები არის მართებული, ის უფლებამოსილია შეცვალოს შეფასება, ხოლო თუ სტუდენტი არ კმაყოფილდება ლექტორის შეფასებით, ის უფლებამოსილია გამოიყენოს შეფასების გასაჩივრების კანონდმებლობით დადგენილი პროცედურა. უნივერსიტეტი არ გეგმავს ლექტორის მიერ განსაზღვრული შეფასები კომისიურად შემოწმებას და შესაბამისად, არც კომისიის მიერ განსაზღვრული შეფასებების გასაჩივრების მიზნით ცალკე კომისიის შექმნას. მსგავსი სტრუქტურები, როგორც წესი იწვევს მხოლოდ სტუდენტის ინტერესების დაზარალებას, მიიღოს ხარისხიანი განათლება და ლექტორბის ავტორიტეტის და ავტონომიურობის კითხვის ქვეშ დაყენებას.

რაც შეეხება მე-8 რეკომენდაციას, როგორც პროგრამის თვითშეფასების ანგარიშშია ოცემული, უნივერსიტეტი მიესალმება კოლეგიალური მიმოილვის პროცესს და რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. ყველა მნიშვნელოვან მექანიზმებად მიჩნეულია ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები. აღნიშნული პროცესების ფარგლებში უნივერსიტეტი განიხილავს და ითვალისწინებს ისეთ რეკომენდაციებსა და რჩევებს, რაც ხელს შეუწყობს სწავლის ხარისიხს უზრუნველყოფასა და განვითარებას. გარდა აღნიშნული პროცესებისა, უნივერსიტეტი გარე შეფასები ინსტრუმენტად იყენებს კურდამთავრებულებისგან, დამსაქმებლისგან და პარტნიორი უნივერსიტეტებისგან მიღებულ ფორმალურ თუ არაფორლამურ უკუკავშირს. ამრიგად, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გარე მონიტორინგსა და შეფასებას, აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს პროგრამის განვითარების მიზნით. ექსპერტები აზრის გათვალისწინება გარე ხარისხთან დაკავშირებით, კერძოდ არსებული გარე ხარისხის შეფასების პოლიტიკის მეტად ფორმალიზირება და გარე პარტნიორისთვის დასკვნის წარმოდგენის ვალდებულების დაკისრება, კონტრპროდუქტიული იქნება თანამშრომლობითი ურთიერთობის გაღრმავებისა და სამომავლო უკუკავშირის მიღებისთვის. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტს მიაჩნია, რომ გარე ხარისხის შეფასებასთან დაკავშირებული პოლიტიკა, სრულიად აკმაყოფილებს აკრედიტაციის მე-5 სტანდარტის მე-2 პუნქტს.

მნიშვნელოვანია, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს შეუძლია, სხვა არჩევანთან ერთად, პრიორიტეტულად აირჩიოს დამატებითი სპეციალობა ბიზნესსა და ფინანსებში ან მართვასა და საჯარო პოლიტიკაში: დამატებითი სპეციალობა ბიზნესსა და ფინანსებში - ამ გზით იგი დაეუფლება კვალიფიციური ფინანსური გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ანალიტიკურ და მენეჯერულ ინსტრუმენტებს. მაინორ-პროგრამის ფარგლებში, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის [ESM] მიერ შეთავაზებული სასწავლო კურსების წარმატებით დაძლევის შემდეგ, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული აღჭურვილია უნიკალური ცოდნით, გამოცდილებით და უნარებით. კურდამთავრებული გამორჩეულად კონკურენტუნარიანი იქნება ბიზნესის სამართლის მიმართულებით. დამატებითი სპეციალობა მართვასა და საჯარო პოლიტიკაში - ამ შესაძლებლობას სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს სთავაზობს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების სკოლა. მაინორ-პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დაეუფლება საჯარო პოლიტიკის და კვლევის საფუძვლებს, რაც განსაკუთრებით საინტერესოა საჯარო სამართლით და პოლიტიკით დაინტერესებული სტუდენტებისთვის. ასეთი ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი სტუდენტი გამორჩეულად კონკურენტუნარიანი იქნება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების სფეროში კვლევითი საქმიანობით დაკავებული ორგანიზაციებში.

აღსანიშნავია ასევე, რომ კონკურსები, რომლებშიც თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტები იღებენ მონაწილეობას ხშირ შემთხვევაში მათ მიერ ეროვნულ რაუნდში გამარჯვებით სრულდება. მაგალითისათვის, 2020 წელს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სკუდენტებმა გაიმარჯვეს შემდეგ

კონკურსებში: თბილისის Vis Pre-Moot; ფილიპ ჯესაპის სახელობის საერთაშორისო სამართლის იმიტირებული სასამართლო პროცესის ეროვნული შეჯიბრი; კლიენტთა კონსულტირების ეროვნული შეჯიბრი.
მნიშვნელოვანია, ასევე, რომ ზოგადი განათლების საუნივერსიტეტო საგნების კომპონენტი (70 ECTS) შეიცვალა საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების კომპონენტად (50 ECTS). დამხმარე ზოგადი განათლების (15 ECTS) ნაცვლად გაჩნდა მიმართულების ზოგადი განათლების კომპონენტი (34 ECTS), რომელშიც ძველ საგნებთან ერთად გაერთიანდა რამდენიმე საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების საგანი (სამართლის საფუძვლები, სოციოლოგია), და დაემატა ერთი საგანი (სოციალური ფსიქოლოგია).
რაც შეეხება საკანონმდებლო მაცნესთან წვდომის საკითხს, არ არსებობს არანირი შეფერხება საიტთან წვდომასთან დაკავიშრებით. დაწესებულებას აქვს 3 ექაუნთი, რომელიც სრულიად საკმარისია აუცილებელი მასალების მოსაძიებლად.

საბჭოს თავმჯდომარე მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი გეგენავამ, აღნიშნა, რომ მე-5 სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციები მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან და არ არის სასურველი უნივერსიტეტის დისკრეციაში ამ დონეზე ჩარევა. ასევე, ვინაიდან პროგრამა არის გამართული მოქმედებს პრაქტიკაში და მოთხოვნადია, მაქსიმალურად უნდა მოხდეს შინაარსობრივი და ფორმალური მხარეების დაახლოება, რომლებიც შეიძლება დარგობრივ მახასიათებელთან ან სტანდარტთან არ მოდიოდეს შესაბამისობაში. საბჭოს წევრმა, რეკომენდაციის სახით განაცხადა, რომ სასურველია მე-5 სტანდარტის კვალიფიკაციის შეცვლა, ვინაიდან რეკომენდაციების სიმძაფრე არ არის იმგვარი, რომ იძლეოდეს მის ნაწილობრივ შესაბამისად განსაზღვრის შესაძლებლობას. რაც შეეხება პროგრამის შინაარსს, ამ კუთხით უნივერსიტეტს აქვს სრული თავისუფლება. დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ ძირითად საგნებში მოცემული სასწავლო კურსი ,,შესავალი სოციოლოგიაში“ არ უნდა ითვლებოდეს ძირითადი საგნების კრედიტებში. უმჯობესია აღნიშნულის კურსი გადაკეთდეს როგორც ,,შესავალი სამართლის სოციოლოგიაში“ ან მოხდეს მისი არჩევით საგნად განსაზღვრა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა განმარტა, რომ ბოლონიის პროცესის შემდეგ შეიცვალა მიდგომა, თუკი ადრე გაცილებით მეტი იყო მიდგომები, რომლებიც არჩევითი საგნებისკენ იხრებოდა ამჟამად აღნიშნული ვიწროვდება, რადგან იურისპრუდენციის საწყის საფეხურზე საკმაოდ ბევრი საკითხი არის შესასწავლი. საქართველოშიც არსებობდა იდეა ერთიანი იურიდიული განათლების შესახებ კანონის მიღებასთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი ჩვენი კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული და არსებობს მხოლოდ დარგობრივი სტანდარტი, რომელიც უფრო სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტის მხრიდან არსებული მიდგომები სავსებით მისაღებია. გარე შეფასების შემდგომ, როგორც ეს ექსპერტთა ვიზიტის შედეგად ხდება აკრედიტაციიდან აკრდიტაციამდე უნივერსიტეტმა უნდა გაითვალიწინოს განსაზღვრული რეკომენდაციები, განახორციელოს ცვლილებები და დანერგოს სიახლეები. დაწესებულების მიერ მუდმივად ხდება სამართლის პროგრამის უცხოური უნივერსიტეტების პროგრამებთან დადარება, ხოლო პროფესორბი მუდმივად ჩართულნი არიან პროგრამის განვითარების პროცესში, რაც გარკვეულ წილად გარე შეფასება სწარმოადგენს. საკითხი შეიძლება გართულდეს მაშინ, როდესაც უნივერსიტეტი არ ზრუნავს იმაზე, რომ თავისი პროგრამა დაადაროს უცხოური უნივერსიტეტების სამართლის პროგრამას და ქვეყნის შიგნიდან თუ გარედან მოწვეული პროფესორები ჩართოს პროგრამის განვითარების პროცესში. უნივერსიტეტში დამოუკიდებელ სექტორალური დანაყოფების ფორმირების დავალდებულება ყოვლად დაუშვებელი და არაგონივრულია.

რაც შეხება გასაჩივრების საკითხს, ფორმალიზებულად აღნიშნული საკითხი დაწესებულების მიერ მოწესრიგებულია. მნიშვნელოვანია, რომ აყვანილი პროფესორის მიმართ დაწესებულებასა და სტუდენტს ჰქონდეს ნდობა.
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა სწავლა-სწავლების მეთოდის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გარდა იმისა, რომ სწავლა-სწავლების მეთოდი ყველა სილაბუსშია მოცემული, ასევე სამართლის პროგრამაში ცალკე არის გამოყოფილი აღნიშნული საკითხი.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მოცემული თემა წარმოადგენს ტექნიკურ საკითხს. მეთოდების ნაკლებობა არც ერთ სასწავლო სილაბუსში არ აღინიშნება. მოცემულ შემთხვევაში საუბარია დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ მეთოდებსა და აქტივობებზე. დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, საყურადრებოა სილაბუსში მოცემული აქტივობები უნდა მოვიხსენიოთ როგორც მეთოდები, თუ როგორც აქტივობები.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ Case Study მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიჩნეულია მეთოდად და არა აქტივობად.
საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ მოცემული საკითხი ერთდროულად მეთოდიც შეიძლება იყოს და აქტივობაც, გააჩნია თუ რა კუთხით იქნება გაგებული.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათი პოზიცია გამომდინარეობს დარგობრივი მახასიათებლისგან, რომელშიც ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემა იკვეთება.
საბჭოს წევრმა, დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ სწავლა-სწავლების მეთოდები და მათი აქტივობები მახასიათებელში არის ცალკე, რას ასევე გამიჯნულია შეფასების კომპონენტებისა და აქტივობებისგან. დარგობრივი მახასიათებლის 4.1 პუნქტი, განსაზღვრავს სწავლა-სწავლების მეთოდებს. ვინაიდან 4.1 პუნქტში მოცემულია განზოგადებული ული სწავლა-სწავლების მეთოდი, აღნიშნული დავიწროვებულია 4.2 პუნქტში სადაც მოცემულია, რომ სწავლა-სწავლების მეთოდები თავის შინაარსით მოიცავს აქტივობებს, რომლებიც ქმნიან მეთოდს. აქედან გამომდინარე, სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს. თავდაპირველად არის განზოგადებული მეთოდი, შემდეგ არის კონკრეტული მეთოდები, მეთოდები კომპონენტების სახით აქტივობებში ჩაშლილი, ხოლო შემდეგ ეს აქტივობები გადამოწმებადი შეფასების კომპონენტების სახით უკვე ჩაშლილია შეფასების კომპონენტებში. აქედან გამომდინარე, დარგობრივ მახასიათებელში არ იკვეთება არანაირი პრობლემა. აღნიშნული მეთოდების განმარტება სილაბუსებში არ არის საჭირო, რადგან არსებობს დარგობრივი მახასიათებელი. Case Study ნამდვილად წარმოადგენს სწავლა-სწავლების მეთოდს. უმნიშვნელოვანესია აღნიშნული საკითხის პრაქტიკაში გამოყენება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა ისაუბრა სტაჟირების საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საკმაოდ რთულია დამსაქმებელს მოსთხოვო სტაჟირების ზუსტი მონაცემები, ხანგრძლივობა და რაოდენობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, დღის წესრიგშ დგას დარგობრივი მახასიატებლის ინტერპრეტაციის საკითხი. როდესაც ხდება კონრეტული სტუდენტის პრაქტიკაზე გაშვება, ცხადია ხდება რაოდენობის შეთანხმება და პრაქტიკის შინაარსის განსაზღვრა. შესაბამისად დაწესებულები წარმომადგენელმა დააზუსტა, თუ როდის უნდა მოხდეს დეტალების განსაზღვრა მემორანდუმის გაფორმებისას, თუ უშუალოდ პრაქტიკაზე გაშვებამდე.
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა. ასევე დაინტერესდა თუ რა განსხვავებაა ლექტორსა და მოწვეულ ლექტორს შორის მოცემულ დოკუმენტებში. ასევე დაინტერესდა რითია განპირობებული აკადემიური პერსონალის სიმცირე, მიუხედავად იმისა, რომ მოწვეულტა რაოდენობა საკმაოდ დიდია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ძირითად მიმართულებებზე არიან ლექტორები, რომლებიც მხოლოდ თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში არიან აფელირებულები. რაც შეეხება კონკურსების გამოცხადებას, აღნიშნული ხორციელდება

პერიოდულად, როდესაც კურიკულუმიდან გამომდინარე ჩნდება ამის საჭიროება ან არის ინიციატივა. დაწესებულება ცდილობს, რომ ყველა მიმართულებით იყოს ისეთი პერსონალი, რომელიც მხოლოდ აღნიშნულ უნივერსიტეტში იქნება აფილირებული. მოწვეულ ლექტორსა და ლექტორს შორის განსხვავებას რაც შეეხება, ვისაც ლექტორის კონტრაქტი აქვს გაფორმებული, ის პირები აფილირებული არიან თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში. ლექტორი არის პირი, რომელიც დაწესებულებაში მუშაობს სრული განაკვეთიტ, მაგრამ არ აქვს აკადემიური თანამდებობა, ხოლო მოწვეული ლექტორი ინიშნება სემესტრული ხელშკრულების საფუძველზე.

ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ სავალდებულო ლიტერატურაში, ბევრგან მითითებულია ინგლისურენოვანი წიგნები. შესაბამისად დაინტერესდა არის თუ არა პროგრამის წინაპირობა ინგლისური ენა, რაც დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა ,,საკარპორაციო სამართლის“ სასწავლო კურსზე და აღნიშნა, რომ უმჯობესია შემცირდეს სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი, რადგან ლიტერატურის ნაწილი განკუთვნილია მაგისტრატურის საფეხურისთვის, რაც რთულს გახდის ბაკალაარის სტუდენტისთვის მის შესწავლას. ირაკლი ბურდულმა ასევე აღნიშნა, რომ საკორპორაციო სამართალი განხილულია სამეწარმეო სამართალთან ერთად რაც ჩვენი კანონმდებლობით ერთი და იგივე არ არის და წარმოადგენს ხარვეზს. საყურადღებოა ასევე, რომ საკორპორაციო სამართლის სილაბუსში არ არის მოცემული ამხანაგური ტიპის საზოგადოებები. მართალია ჩვენ ქვეყანაში აღნიშნული ნაკლებ როლს ასრულებს, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სტუდენტი მოცემული ფორმის შესახებ ინფორმაციას არ უნდა ფლობდეს.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ სასწავლო კურსები როგორიცაა მაგალითად ,,შედარებითი სამეწარმეო სამართალი“ უმჯობესია გაიმიჯნოს ბაკალავრის საფეხურის სწავლებისგან, რადგან იგი უფრო მაღალი აფეხურის სასწავლო კურსს წარმოადგენს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შედარებითი სამართალი ისწავლება მე-4 კურსზე. რაც შეეხება სოციოლოგიას, დაწესებულებაში იყო დისკუსია აღნიშნული სასწავლო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით. დაწესებულება ჯერ კიდევ მსჯელობდა შესაბამისად, მოხდება კურსის არცევით საგნებშ გადატანა ან მისი სამართლებრივი საკითხების შესაბამისად მოდიფიცირება.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა ისაუბრა გარე ხარისხის შეფასებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის კონტროლის არსიდან გამომდინარე უნივერსიტეტიდან არ იყო მზაობა იმისა, რომ ექსპერტების პოზიცია დაენახათ პოზიტიური კუთხით. რაც შეეხება გასაჩივრების მექანიზმს, ექსპერტის აზრით, შეუძლებელია ჩაითვალოს რომ გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც უნივერსიტეტში მოქმედებს რელევანტურია. ბანგალორის პრინციპებიდან გამომდინარე ვერავინ იქნება მოსამართლე თავის საქმეზე, შესაბამისად ლექტორის მსგავს ქმედებს შეუძლებელია გასაჩივრება ვუწოდოთ.

დაწესებულების პრო-რექტორმა აღნიშნა, რომ გასაჩივრების მექანიზმის არარსებობასთან დაკავშირებით სახეზეა ფაქტის არასწორი კონსტანტაცია. გასაჩივრების მექანიზმი მუშაობს და ის არის ძალიან მარტივი. თავდაპირველად ხდება ლექტორის მიერ გადახედვა, თუ სტუდენტი ფიქრობს რომ ლექტორი მიკერძოებულია, ის მიმართავს დეკანს და შემდეგ თუ ამის აუცილებლობა არსებოს ხდება ნაშრომის სხვა პროფესორის მიერ გადახედვა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ყველაფრის ფორმალიზება, თუ ამას კანონი არ ითვალისწინებს არ არის საჭირო და არც მიზანშეწონილი, გარდა ამისა, რაც შეეხება ბანგალორის პრინციპებს, დასაწყისშივე აღნიშნულია რომ მოცემული პრინციპები მოქმედებს მხოლოდ მოსამართლეების მიმართ.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი გეგენავამ, აღნიშნა, რომ სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, უნივერსიტეტში გასაჩივრების ფორმალური ნაწილი სახეზეა და მოქმედებს. თუმცა, უმჯობესია არსებული პრაქტიკა იყოს ფორმალიზებული .

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:17
დასრულების დრო: 18:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ,,სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლით ვადით, 9 თვეში ანგარიშის წარმოდგენით, აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ მე-5 ნაცვლად „ნაწილობრის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რჩევები და რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

ა) მიზანშეწონილია, დოკუმენტურად აისახოს უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი და ანალიზის შედეგების მიხედვით პროგრამაში განსახორციელებელი/განხორციელებული ცვლილებები. სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი, სამიზნე ნიშნულებთან დადარება, პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების ანალიზის განხორციელება შესაბამისი შემაჯამებელი ან პერიოდული დოკუმენტების მეშვეობით მიზანშეწონილია სწავლის შედეგების მიღწევის, სრულყოფილი ანალიზისა და პროგრამის გაუმჯობესების შესაბამისი ქმედებების დაგეგმვა/განხორციელებისათვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მიერ ანალიზის ეფექტურად განხორციელებას, ინფორმაციის თავმოყრას და გამოვლენილი ხარვეზების შესაბამისად ცვლილებების საჭიროებებს, არსებობის შემთხვევაში.
ბ) აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის შემუშავებასა და შემდგომ განვითარებაში მოქმედი სტუდენტების ეფექტური ჩართულობის ღონისძიებები.
გ) მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სილაბუსების მუდმივი გადამუშავება როგორც მასალის განახლების, ასევე მოცულობის კუთხით და ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფის მიზნით.
დ) აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, მემორანდუმებში განისაზღვროს პრაქტიკასთან და სტაჟირებასთნ დაკავშირებით არსებული დეტალები (კერძოდ, განსაკუთრერბული ყურადღება გამახვილდეს სტუდენტთა რაოდენობასთან დაკავშირებით).
ე) მიზანშეწონილია სილაბუსებში მკაფიოდ და ამომწურავად იყოს გაწერილი შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. სტუდენტს უნდა ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია, თუ როგორ, რა კრიტერიუმებითა და მეთოდებით შეფასდება.
ვ) სტუდენტების შედეგების გასაჩივრების არსებული პრაქტიკა სამართლებრივად აისახოს და გაიწეროს შესაბამის დოკუმენტებში, რათა გარეშე პირებისათვის უფრო ნათელი იყოს გასაჩივრების პროცედურული ეტაპები.

ზ) საბაკალავრო პროგრამის სტანდარტის დაკმაყოფილების მიზნებისათვის მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა იზრუნოს გარე ხარისხის შეფასებაზე, რათა პროგრამა ფასდებოდეს მესამე პირის მხრიდან პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.
თ) მიზანშეწონილია, დაიხვეწოს უსდ-ის მიერ სტუდენტთა გამოკითხვის ჩატარების წესი და მეთოდოლოგია, რათა ისასახავდეს რეალურ სურათს და მოხდეს ამ შედეგების ანალიზი.
ი) მიზანშეწონილია, შეიქმნას პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგებისა და ამ შედეგების გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

ა) სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. ამ თვალსაზრისით უნივერსიტეტს ექნება მკაფიო ხედვა და სტრატეგია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშუალოდ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით და უფრო ეფექტურად მოახდენს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას დაგეგმილი სტრატეგიისა და ეტაპების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
ბ) ზოგადი საუნივერსიტეტო განათლების კომპონენტში შემავალ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით სასურველია, ჩატარდეს სტუდენტების საჭიროებების და არსებული გამოწვევების კვლევა. ამგვარი კვლევის შედეგების გათვალისწინებით დაიგეგმოს ამ კომპონენტის მოდიფიკაცია/განვითარება.
გ) საბაკალავრო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი უფრო მეტად იყოს სპეციალიზირებული საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებით.
დ) სასურველია, სტუდენტის პირადი ელექტრონული გვერდი აღიჭურვოს ისეთი საჭირო ფუნქციით, როგორიცაა ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან მიმოწერის ფუნქცია.
ე) ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში, სტუდენტთა მხრიდან პედაგოგების შეფასება ხორციელდება მიზერულ შემთხვევებში. მაგალითად, 58 სტუდენტიანი ჯგუფიდან მხოლოდ 3-მა განახორციელა პედაგოგის შეფასება. შესაბამისად, სასურველია ისეთი მექანიზმის დანერგვა, რომელიც გაზრდის პედაგოგების შეფასებაში ჩართული სტუდენტების რაოდენობას, შესაბამისად ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მხრიდან აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
ვ) სასურველია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს ისეთი ვერსია, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტების უფრო ფართო რაოდენობას ისარგებლოს ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე შინიდან.
ზ) სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოიყენება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;
თ) სასურველია, მოხდეს მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენება, რათა განხორციელდეს პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში-პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ,,სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 9 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

2. მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა
12	კვალიფიკაციის კოდი	0311
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
15	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ N77, თბილისი, სასწავლო კორპუსი N6, 0175, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა - ზურაბ გვიშიანმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის შემოწმება განხორციელდა დისტანციურად 2020 წლის 28 სექტემბრს. ვიზიტამდე 26 სექტემბერს, შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (გოჩა თუთბერიძე, მერაბ კაკულია, ნინო ტალიკაძე) ვიდეო-კონფერენცია, სადაც განხილულ იქნა საგანამანათლებლო პროგრმა, თანდართული დოკუმენტაცია და თვითშეფასების ანგარიში. განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა 28 სექტემბერს ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. 28 სექტემბერს 10:00 საათიდან, Zoom-ის საშუალებით, დაიწყო გასაუბრება პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაცია), თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ინტერვიუირების პროცესი მიმდინარეობდა შეუფერხებლად და მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა განსაზღვრულ რეკომენდაციებზე:
1.უნდა შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები სწავლის თითოეული შედეგისათვის;
2. აუცილებელია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განისაზღვროს ისე, რომ ის უზრუნველყოფდეს საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტის პროგრამით გათვალისწინებულ ვადაში მერვე დონის სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს და ვებ-გვერდის საშუალებით ხელმისაწვდომი გახადოს კვლევითი პროექტისადმი წაყენებული მოთხოვნები: სტრუქტურა, მოცულობა, გაფორმების და შეფასების წესი;
4. უნდა განხორციელდეს ცვლილებები პროგრამის სასწავლო გეგმაში და სავალდებულო სასწავლო კურსებად განისაზღვროს „მიკროეკონომიკის თეორია“, „მაკროეკონომიკის თეორია“ და „ეკონომეტრიკული ანალიზი“;
5. კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, არჩევით სასწავლო კურსების სახით უნდა იქნას შეთავაზებული „მონეტარული თეორია“, „საჯარო ფინანსები და ფისკალური თეორია“, „ქცევის ეკონომიკა“, „შრომის ეკონომიკა“, „განათლების ეკონომიკა“, „აგრარული ეკონომიკა“;
6. პროგრამის სასწავლო კომპონენტი უნდა იყოს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული, პროგრამის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე სასწავლო კურსების ერთობლიობა;
7. დაზუსტდეს კურიკულუმის რუკაში სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან დაკავშირების ხარისხი;
8. სასწავლო კურსი „ეკონომიკის კვლევის მეთოდების“ სილაბუსი უნდა გადამუშავდეს ისე, რომ მან მოიცვას კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები;
9. სადოქტორო საფეხურის სასწავლო კურსების ფარგლებში უნდა იქნას გამოყენებული ადეკვატური, მეტწილად უახლესი თემატიკის შესაბამისი სამეცნიერო ხასიათის სტატიები, მონოგრაფიები და კვლევები, რაც უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას;

10. დოქტორანტურის დებულებაში მკაფიოდ უნდა გაიწეროს დოქტორანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები;
11. დოქტორანტურის დებულებაში გაერთიანებული უნდა იყოს და საჯაროდ ხელიმისაწვდომი დისერტაციის გაფორმების აუცილებელი წესები;
12. მიზანშეწონილია სადოქტორო პროგრამების ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილი იქნას უსდ-ს სხვა წყაროებიდან და არა მთლიანად სადოქტორო პროგრამის შემოსავლებიდან. შესაბამისად, აუცილებელია განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობის კონცეპტუალური მიდგომები (მაგ. ხარჯების ნაწილის დაფარვა), კრიტიკული ნიშნულები/ინდიკატორები, შემუშავდეს სადოქტორო პროგრამის ფინანსური მდგომარეობის შემოწმების პირობები;
13. მიზანშეწონილია პროგრამის ბიუჯეტში ცალკე პუნქტად გამოიყოს კონფერენციების, მივლინებების, დოქტორანტთა მიერ სტატიების გამოქვეყნების დაფინანსებისთვის საჭირო თანხები.
14. მიზანშეწონილია, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აქტიურად იმუშაოს პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან, აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების მიმართულებით;
15. აუცილებელია დამსაქმებლებთან ინტერნსიური თანამშრომლობა მათ მიერ საგანმანათლოებლო პროგრამის შეფასების კუთხით;
16. თვითშეფასება უნდა იყოს ინფორმატიული და ასახავდეს ყველა აუცილებელ ინფორმაციას ანალიზისა და შეფასებისათვის;
17. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სასწავლო სასწავლო კურსების შინაარსისა და ლიტერატურის შესაბამისობას უმაღლესი განათლების მერვე საფეხურის მოთხოვნებთან, ასევე სადისერტაციო კვლევების გაფორმებას და მათს შესაბამისობას მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე, კერძოდ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აკრედიტაციის მიზნით, წარმოდგენილი იყო ახალი საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსის მქონე ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა. შესაბამისად, ამ პროგრამის განხორციელების პირობებში, სხვადასხვა მიმართულებით მისაღები ობიექტური მაჩვენებლები, უნივერსიტეტს ამ ეტაპზე არ გააჩნია. ასევე აღნიშნა, რომ ყველა წინასწარ განჭვრეტადი მოცემულობა გათვალისწინებული იყო საგანმნათლებლო პროგრამაში და სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი განაცხადის დანართებში. უშუალოდ სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულების შემუშავებისთვის, აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს რელევანტური და ობიექტური მონაცემების შეგროვება და მისი შემდგომი ანალიზი, რაც, განსაკუთრებით უმაღლესი განათლების მე-8 საფეხურის ფარგლებში, შესაძლებელი გახდება პროგრამის ფუნქციონირების პროცესში - სწავლა-სწავლებისა და კვლევის შედეგად. ამასთან, უნივერსიტეტმა დაადასტურა, რომ აქვს ყველა საჭირო მექანიზმი და შესაძლებლობა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესის სრულყოფილად განხორციელებისთვის. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა წარმოდგენილი იყო სააკრედიტაციო განაცხადის მე-8 დანართში. შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული პირველი რეკომენდაცია, სტანდარტის „1.2 კომპონენტის“ მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების ჭრილში, ამ კონკრეტული პროგრამისთვის,არ წარმოადგენს სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის საჭირო მითითებას. აქედან გამომდინარე, 1.2 კომპონენტის ფარგლებში ობიეტური შეფასება იქნებოდა „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშრებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეკონომიკის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.). აგრეთვე, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს: კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება; ასევე, ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი, ან უნდა ჩააბაროს გამოცდა სტუ-ის საგამოცდო ცენტრში. აპლიკანტს, რომელსაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ინგლისურ ენაზე, სერტიფიკატის წარმოდგენა ან გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვება. ინგლისურ ენაში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში აპლიკანტი გადის გასაუბრებას საფაკულტეტო დროებით კომისიასთან. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვებისათვის ამგვარი წინაპირობის დაწესება, წარმოადგენს ოპტიმალურ გადაწყვეტილებას ეკონომიკის სადოქტორო პროგრამისათვის და ითვალსწინებს იმ ჭეშმარიტებას, რომ „ეკონომიკისთვის“, როგორც მულტიდისციპლინური დარგის/მეცნიერებისთვის საზღვრების დაწესება კონკრეტული სფეროებით იქნებოდა მცდარი, მითუმეტეს კვლევის მიზნებისთვის. მეტიც, ამ მოსაზრების საწინააღმდეგო ნებისმიერ არგუმენტს აქვს მხოლოდ გემოვნებითი ან ვიწრო გაუმართლებელი ინტერესები და დადის იმ ლოგიკამდე, როდესაც ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დაძლევა ძალუძთ მხოლოდ ეკონომისტებს. ეს დამოკიდებულება ყოვლად მიუღებელია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, ექსპერტთა ჯგუფი ონლაინ ვიზიტის ფარგლებში, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს, პროფესორ ალექსანდრე სიჭინავას მიერ ხაზგასმით აღინიშნა, რომ ფაკულტეტს შემუშავებული და ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული აქვს კვლევითი პროექტისადმი წაყენებული მოთხოვნები, რომელიც მოიცავს მის სტრუქტურას, მოცულობას და გაფორმების, ასევე შეფასების წესს (ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №52 12.08.2020წ.). რაც შეეხება ამ წესის ვებგვერდზე განთავსების საკითხს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ერთმნიშვნელოვნად არ ეთანხმება ექსპერტების რეკომენდაციას, რადგან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭებამდე უნივერსიტეტი არ ითვლება ასეთი პროგრამის მქონე სუბიექტად და შესაბამისად, ამგვარი დოკუმენტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება ცალსახად იქნება მესამე პირთა შეცდომაში შემყვანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული #2 და #3 რეკომენდაციები, სტანდარტის „2.1. კომპონენტის“ მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების ჭრილში, არ წარმოადგენს სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის რელევანტურ მითითებას. შესაბამისად, 2.1. კომპონენტის ფარგლებში ობიეტური შეფასება უნდა იყოს „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე მ-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ტექნიკურ ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის 2.2 კომპონენტის „მიმოხილვით ანალზში“ დაფიქსირებული შენიშვნა, რომლის მიხედვით, „პროგრამის შემადგენელი კომპონენტების ვერ ვიტყვით, რომ თანმიმდევრულია და ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში იმყოფებიან, რადგან გარდა ერთი სასწავლო კურსისა, სხვა არცერთ სავალდებულო სასწავლო კურსს არ გააჩნია დაშვების წინაპირობა.“ დადასტურებულ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს, რომ სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსები შეესაბამება დოქტორანტურის საფეხურის დონეს, არის თანმიმდევრული და სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები გათვალისწინებულია არა ერთ, არამედ ორ სასწავლო კურსში: 1. ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის - ინსტიტუციური ეკონომიკა; 2. პროფესორის ასისტენტობა - სწავლების მეთოდები. რა თქმა უნდა დაშვების წინაპირობები ვერ ექნება პირველ სასწავლო სემესტრში გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს და ასევე არ აქვს არჩევით კურსებს მე-2 სემესტრში, ასეთის ობიექტური

საჭიროების არარსებობის გამო. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო სპეცურსები: „ეკონომიკური უსაფრთხოება“, „გადაწყვეტილებათა მიღების მოდელები ეკონომიკაში“, „ინსტიტუციური ეკონომიკა“ და არჩევითი კურსი „ღია ეკონომიკა“, ამ კურსებისთვის პრიორიტეტული სწავლების მეთოდებისა და ინსტრუმენტების, მიზნებისა და მისაღწევი შედეგების შესაბამისად, ითვალისწინებს მიკრო-მაკროეკონომიკური თეორიისა და ეკონომეტრიკის ცალკეული პრობლემატური საკითხების სისტემურ განხილვა-ანალიზს. მაგალითად: სასწავლო კურსის „ეკონომიკური უსაფრთხოების“ სწავლებისას, ეკონომიკური უსაფრთხოების კუთხით გათვალისწინებულია ეკონომიკური პოლიტიკის, ინფლაციის, ფულად-საკრედიტო სისტემის მდგრადობის, საგარეო ვაჭრობის სახელმწიფოებრივი რეგულირების, სოციალური უსაფრთხოების პრობლემატური საკითხების შესწავლა, რაც ითვალისწინებს აღნიშნული საკითხების არსის ფუნდამენტალურ განხილვა/ანალიზს; „ინსტიტუციური ეკონომიკის” სწავლებით გათვალისწინებულია თემატიკაც: შრომის ბაზრის ინსტიტუციური ანალიზი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და ინსტიტუციური დინამიკა, ეკონომიკური სისტემათა ანალიზის ინსტიტუციური მეთოდები, საკუთრებით ურთიერთობათა მნიშვნელობა თავისუფალ ბაზარზე, ეკონომიკური ქცევა და ინსტიტუტები, გულისხმობს მიკრო-მაკროეკონომიკური თეორიის უახლესი მიღწევების სწავლება-ანალიზს და პრაქტიკაში ამ მიღწევების ეფექტიანი რეალიზაციისთვის აუცილებელი ინსტიტუციური წინაპირობების შესწავლას; სასწავლო კურსის „გადაწყვეტილებათა მიღების მოდელები ეკონომიკაში“ სწავლებისას უშუალოდ გათვალისწინებულია „გადაწყვეტილებათა მიღების ეკონომეტრიკული მოდელების“ სწავლება; ამგვარად, მიკრო-მაკროეკონომიკური თეორიისა და ეკონომეტრიკის ცალკეული პრობლემატური საკითხები ინტეგრირებულია წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებულ სავალდებულო სასწავლო სპეცურსებში, რომელთა ფარგლებში გათვალისწინებულია მათი სწავლება.

მე-6 რეკომენდაციასთან მიმართებით, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის მოცულობა პროგრამაში არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს. შესაბამისად, გაუგებარია, რას ეფუძნება ექსპერტების კომენტარი ეკონომიკის სხვადასხვა დარგების სწავლებასთან დაკავშირებით. სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, რაც ახდენს საქართველოში არსებული სწავლის სფეროების კლასიფიცირებას და განსაზღვრავს სწავლის თითოეულ სფეროში მისანიჭებელ კვალიფიკაციას, მიგვითითებს, რომ 0412 - ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა არის სწავლების ვიწრო სფერო - ფართო სფეროს 04 ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი და მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი და არა ეკონომიკის დოქტორის. მონეტარული და ფისკალური საკითხები კი განხილულია ისეთ სასწავლო კურსებში, როგორიცაა: „ეკონომიკური უსაფრთხოება“ და „ღია ეკონომიკა“, კერძოდ: „ეკონომიკური უსაფრთხოების“ სასწავლო კურსში განიხილება შემდეგი საკითხები: ქვეყნის ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფა: ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების რეგულირების აუცილებლობა; ეკონომიკური უსაფრთხოება – ბიუჯეტის შევსების გარანტი; საბიუჯეტო სეპარატიზმი და მასთან ბრძოლის მეთოდები; ფისკალური პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში; ბიუჯეტი, მისი აგების პრინციპები და რეალიზაციის უსაფრთხო მექანიზმები, ფულად-საკრედიტო სისტემის მდგრადობა: მყარი ფულად-საკრედიტო სისტემა როგორც ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი; ინფლაცია და ეკონომიკური უსაფრთხოება დ სხვა. „ქცევის ეკონომიკის“ საკითხებს ფარავს „ინსტიტუციური ეკონომიკის“ სასწავლო კურსის თემები, სადაც განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები; ინსტიტუტები, წესები და ნორმები; ნორმები როგორც ინსტიტუტების ძირითადი ელემენტი; რაციონალური არჩევანი და რაციონალური ქცევა; ეკონომიკური ქცევა და ინსტიტუტები - შეზღუდული რაციონალიზმი; რუტინული და მენტალური მოდელები; ზოგადი მენტალური მოდელები და კულტურა; ეკონომიკური ქცევის ნორმები და წესები; კოოპერაციის წესი; კოორდინაციის წესი; განაწილების წესი; ოპორტუნისტული ქცევა;

ოპორტუნისტული ქცევის სახეები და ბუნება; პოსტკონტრაქტული ოპორტუნიზმი, პირადი ურთიერთობის როლი ბიზნესში; იძულების მექანიზმები და კონტრაქტების ფორმის არჩევა და სხვა. რაც შეეხება „შრომის ეკონომიკასა“ და „განათლების ეკონომიკას“, ამ სასწავლო კურსების შესწავლა გათვალისწინებულია ბაკალავრიატის საფეხურზე. ლოგიკას მოკლებულია დასკვნის პროექტით შემოთავაზებული „შრომის ეკონომიკის“, „განათლების ეკონომიკისა“ და „აგრარული ეკონომიკის“ სასწავლო კურსების შეტანა პროგრამის არჩევით ნაწილში. შესაბამისად, უნივერსიტეტი არ იზიარებს დასკვნის პროექტის აღნიშნულ ჩანაწერს.

აღსანიშნავია ასევე მე-6 რეკომენდაცია, მეორე სემესტრის 3 სავალდებულო სასწავლო კურსიდან „გადაწყვეტილებათა მიღების მოდელები ეკონომიკაში“, „ეკონომიკური უსაფრთხოება“, „პროფესორის ასისტენტობა“, 2 მათგანს აქვს წინაპირობა, კერძოდ: სასწავლო კურსის „ეკონომიკური უსაფრთხოება“ წინაპირობაა „ინსტიტუციური ეკონომიკა“, ხოლო სასწავლო კურსის „პროფესორის ასისტენტობა“ წინაპირობა - „სწავლების მეთოდები“, რაც ადასტურებს, რომ პროგრამის სასწავლო კურსები თანმიმდევრული და ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ლოგიკურობა მხოლოდ წინაპირობების არსებობას არ უნდა ნიშნავდეს, რადგან ლოგიკა მდგომარეობს იმაში, რომ პირველ კურსზე დოქტორანტები სწავლობენ იმ სავალდებულო სასწავლო კურსებს, რომლებიც: 1. ასწავლის მას კონკრეტული სასწავლო კურსის შესატყვისი სწავლების სტრატეგიების, მეთოდების შერჩევასა და გამოყენებას, ასწავლის ინფორმაციის მოძიებას, ანალიზს, სამეცნიერო-კვლევითი ტექსტის წერის დაგეგმვის, შესრულებისა და ფორმატირების ტექნიკას, აცნობს ეკონომიკის მეცნიერების კვლევის თანამედროვე მეთოდებს, რაც მათ მეცნიერული კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებაში, აგრეთვე, ახალი კვლევითი ან ანალიტიკური მეთოდების ან/და მიდგომების შემუშავებაში დაეხმარებათ; მომდევნო სემესტრის სასწავლო კურსები კი აღრმავებს პირველ სემესტრში მიღებულ სწავლის შედეგებს და ეკონომიკურ პრობლემებს განიხილავს უკვე ეკონომიკური უსაფრთხოების და გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობების კონტექსტში, სასწავლო კომპონენტებით დაგროვილი ცოდნა და პრაქტიკული უნარები კი განმტკიცდება „პროფესორის ასისტენტობის“ სასწავლო კურსით და კვლევითი კომპონენტებით და ფასდება, როგორც საუკეთესო პრაქტიკა გვიდასტურებს, სადისერტაციო ნაშრომით. ამდენად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული #4, #5 და #6 რეკომენდაცები, სტანდარტის „2.2. კომპონენტის“ მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების ჭრილში, არ წარმოადგენს სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის რელევანტურ მითითებებს. აქედან გამომდინარე დაწესებულება მიიჩნევს, რომ სრულიად შეუსაბამოა დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება. უნივერსიტეტის პოზიციით 2.2. კომპონენტის ფარგლებში, ობიეტური შეფასება უნდა იყოს „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

მნიშვნელოვანია ასევე მე-7 რეკომენდაცია, საგანმანათლებლო პროგრამის დიზაინი აგებულია შემდეგი ლოგიკით: პირველი სემესტრის სასწავლო კურსები ახდენს სწავლის შედეგების მიღწევას საკითხების და პრობლემების გაცნობის დონეზე, მეორე სემესტრის სასწავლო კურსებით დოქტორანტი იღრმავებს, ხოლო კვლევითი კომპონენტებით - განამტკიცებს მიღებულ სწავლის შედეგებს. ამასთან, ერთმნიშვნელოვნად უნდა აღინიშნოს, რომ არანაირი კითხვის ნიშანი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგზე გასვლის თვალსაზრისით არ შეიძლება დაისვას. მიგვაჩნია, რომ ექსპერტების აღნიშნული მიგნების სტატუსი არ უნდა იყოს „რეკომენდაცია“

მე-8 რეკომენდაცია უნივერსიტეტმა მიიღო როგორც სასარგებლო რჩევა და დაუყოვნებლივ შეიტანა შესაბამისი ცვლილებები„ეკონომიკის კვლევის მეთოდების“ სილაბუსში. შესაბამისად, სასწავლო კურსში უკვე გათვალისწინებულია კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები.

რაც შეეხება მე-9 რეკომენდაციას, სასწავლო კურსების სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურაში მითითებულია შესაბამის თემატიკაზე არსებული უახლესი სამეცნიერო ხასიათის სტატიები, მონოგრაფიები და კვლევები. კერძოდ: „ინსტიტუციური ეკონომიკის:

სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია ავტორთა კოლექტივის ნაშრომის ელექტრონული ვერსია პროფესორ ა. სიჭინავას ხელმძღვანელობით, რომელიც 2019 წელს არის განახლებული და შევსებული; დ. იაკობიძისა და ე. მენაბდე-ჯობაძის სამეცნიერო სტატია „ინსტიტუციური ეკონომიკის საზრისისათვის“, რომელიც 2020 წელს არის შესრულებული, დ. იაკობიძის სტატია „ინსტიტუციონალური ეკონომიკა“, რომელიც საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში „ბიზნეს-ინჟინერინგი“, არის დაბეჭდილი, აგრეთვე, უცხოელი ავტორების მიერ 2015 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია და სხვ. და დამხმარე ლიტერატურაში მითითებული ქართველი და უცხოელი ავტორების მიერ უახლოეს წლებში გამოქვეყნებული 23 სტატია, მონოგრაფია თუ კვლევა. „ეკონომიკური უსაფრთხოების“ სასწავლო კურსი, რომელშიც 2020 წლის უახლესი ინგლისურენოვანი სტატიები და კვლევებია მითითებული სავალდებულო ლიტერატურაში, ხოლო დამატებით ლიტერატურაში - თავად სილაბუსის ავტორის მიერ ქართულ და ინგლისურ ენაზე გამოცემული 22 ბოლოდროინდელი სტატია და კვლევა, 16 ინგლისურენოვანი ნაშრომი და 33 დამხმარე ლიტერატურა. v „ეკონომიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები“ მოიცავს 3 ინგლისურენოვან ლიტერატურას და ორ ქართულენოვან ნაშრომს, მათ შორის ერთ-ერთი არის პროფესორ ა. სიჭინავას ხელმძღვანელობით 2019 წელს შექმნილი დეპარტამენტის თანამშრომლების ერთობლივი ნაშრომი „ეკონომიკური კვლევის მეთოდები“. დამხმარე ლიტერატურაში კი მითითებულია როგორც ქართული და ინგლისურენოვანი უახლესი სტატიები, კვლევები და მონოგრაფიები, აგრეთვე, უახლოეს პერიოდში დაცული დისერტაციებიც. აღსანიშნავია, რომ მსგავსი პრინციპით არის შედგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სილაბუსი და ისინი კონკრეტული მიმართულებით არსებულ და ხელმისაწვდომ რესურსებს ეყრდნობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული #7, #8 და #9 რეკომენდაციები, სტანდარტის „2.3. კომპონენტის“ მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების ჭრილში, არ წარმოადგენს სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის რელევანტურ მითითებებს. შესაბამისად, დაწესებულება მიიჩნევს, რომ 2.3. კომპონენტის ფარგლებში ობიეტური შეფასება უნდა იყოს „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

მე-10 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ დეტალურადაა გასაწერი დოქტორანტის შესასრულებელი სამუშაო სწავლის და კვლევის პერიოდში. ის გარემოება, რომ არ ფიქსირდება არსად, დოქტორანტის შესასრულებელი სამუშაო გაწერის და შემდგომი სწავლების პერიოდში დოქტორანტისთვის სამეცნიერო ხელმძღვანელობის ვალდებულება ეკისება სწორედ სამეცნიერო ხელმძღვანელს, არის ტექნიკური და მარტივად გამოსასწორებელი უზუსტობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ასეულობით აკადემიური თანამდებობის პირი ასრულებს სამეცნიერო ხელმძღვანელის უფლებამოსილებებს და პრაქტიკაში არასდროს გამოკვეთილა პრობლემა მათ მიერ შესასრულებელ სამუშაოს ცოდნასთან დაკავშირებით, აღნიშნული „რეკომენდაცია“ უნივერსიტეტმა მიიღო როგორც სასარგებლო რჩევა და დაუყოვნებლივ შეიმუშავა შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი - „ცვლილების შეტანის თაობაზე“. ცვლილება განხორციელდება უნივერსიტეტის მართვის ორგანიების პირველივე სხდომაზე.

მე-11 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების დანართ 5 - ში დეტალურადაა გაწერილი დისერტაციის გაფორმების აუცილებელი წესები. ის განთავსებულია და ექსპერტთა ვიზიტის დროსაც იძებნებოდა უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და შეუფერხებლად ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული #10 და #11 რეკომენდაციები, სტანდარტის „3.2 კომპონენტის“ მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების ჭრილში, ამ კონკრეტული პროგრამისთვის,არ წარმოადგენს სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის რელევანტურ მითითებას. აქედან გამომდინარე 3.2 კომპონენტის

ფარგლებში ობიეტური შეფასება იქნებოდა „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. ამასთან, სრულად ვიზიარებთ ექსპერტების შეფასებას აკრედიტაციის მე-3 სტანდარტთან მიმართებაში - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა მე-12 რეკომენდაციასთან მიმართებით და განმარტა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ათეულობით დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში, არცერთ მათგანს არ შექმნია პრობლემა ფინანსური მდგარდობის თვალსაზრისით. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ თავად უნივერსიტეტი წარმოადგენს მძლავრ, ფინანსურად გამართულ ორგანიზაციას და ყოველთვის აქვს კონკრეტული საჭიროებისთვის გამიზნული ფინანსური მხარდაჭერის გაწევის შესაძლებლობა. ასევე, გამართული ფინანსური მდგომარეობით გამოირჩევა საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს გაუთვალისწინებელი ფინანსურ რისკებს. აღნიშნული თავის მხრივ, გარანტირებულად უზრუნველყოფს ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. სადოქტორო პროგრამის ფინანსური მდგრადობას უზრუნველყოფს ასევე ის გარემოებაც, რომ სტუდენტები ჩართულები არიან კვლვით პროექტებში, რომელსაც აფინანსებს უმაღლესი სასწავლო დაწესებულება. აგრეთვე, ფაკულტეტის ბიუჯეტით გათალისწინებულია დოქტორანტთა კონფერენციებში მონაწილეობისა და მათ მიერ სტატიების გამოქვეყნების დაფინანსებისთვის საჭირო თანხები.
პროგრამის ხელმძღვანელმა მე-13 რეკომედაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კონფერენციების, მივლინებების, დოქტორანტთა მიერ სტატიების გამოქვეყნების დაფინანსებისთვის საჭირო თანხები გათვალისწინებულია ფაკულტეტის ბიუჯეტში. შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული #12 და N13 რეკომენდაციები, სტანდარტის „4.4 კომპონენტის“ მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების ჭრილში, ამ კონკრეტული პროგრამისთვის,არ წარმოადგენს სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის რელევანტურ მითითებას. შესაბამისად, 4.4 კომპონენტის ფარგლებში ობიეტური შეფასება იქნებოდა „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. ამასთან, სრულად ვიზიარებთ ექსპერტების შეფასებას აკრედიტაციის მე-4 სტანდარტთან მიმართებაში - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
რაც შეეხება მე-5 სტანდარტთან მიმართებით განსაზღვრულ რეკომენდაციებს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის შემუშავებაში, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ისევე როგორც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად იყო ჩართული, ატარებდა შესაბამის ტრენინგებს, სამუშაოშეხვედრებს/სემინარებს, გასცემდა სხვადასხვა მიმართულების მითითებებს და რეკომენდაციებს. ნაწილი ამ აქტივობებისა ასახულია დეპარტამენტის სხდომის ოქმებში. აქვე გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ პროგრამაზე მუშაობა, ქვეყანაში არსებული პანდემიური მდგომარეობის გათვალისწინებით, მეტწილად ხორციელდებოდა ონლაინ რეჟიმში - დისტანციურად. ამ გარემოებას არ მიუყენებია რაიმე შედეგობრივი ჩრდილი თანამშრომლობის მაღალი ხარისხისათვის. აქვე უნდა დავადასტუროთ, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, განმავითარებელი აქტივობების თვალსაზრისით, არ შემოიფარგლნენ მხოლოდ შიდა რესურსების გამოყენებით და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობის შედეგად, ცენტრის მაღალი კვალიფიკაციის წარმომადგენელთა ტრენერობით, დასწრების მაღალი მაჩვენებლით ჩატარდა უმნიშვნელოვანესი ონლაინ სამუშაო შეხვედრა/სემინარი სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებისა და პროგრამის ხელმძღვანელებისთვის. სემინარი შეეხო შემდეგ მიმართულებებს: უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები. ავტორიზაციის სტანდარტების განხილვა სტუ-ის ავტორიზაციის დასკვნაში მოცემულ რეკომენდაციებთან მიმართებით. თვითშეფასების ანგარიშის დადებითი და უარყოფითი მახასიათებლების განხილვა. 4. აკრედიტაციის სტანდარტების განხილვა სტუ-ის პროგრამული აკრედიტაციის დასკვნებში მოცემულ

რეკომენდაციებთან მიმართებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული N14 რეკომენდაცია, სტანდარტის „5.1 კომპონენტის“ მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების ჭრილში, არ წარმოადგენს სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის რელევანტურ მითითებას. შესაბამისად, 5.1 კომპონენტის ფარგლებში ერთადერთ ობიეტური შეფასება უნდა იყოს „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
მნიშვნელოვანია ასევე მე-15 რეკომენდაცია, კერძოდ, დამსაქმებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით, სადოქტორო პროგრამის პროექტი გაეგზავნა სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფის, კერძოდ: უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის, ტორუნის ნიკოლაუს კოპერნიკის უნივერსიტეტი (პოლონეთი), სამინისტროების (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო), მუნიციპალიტეტის მერიის, კომერციული ბანკების (სს თიბისი ბანკი, ფინკა ბანკი), პროფესიული ასოციაციის (ბუღალტერთა კლუბი "ფორუმი") კომერციული დაწესებულებების („კახური ტრადიციული მეღვინეობა“), სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციის („ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი“) წარმომადგენლებს, რომელთა მოსაზრებები და შენიშვნები გათვალისწინებულ იქნა ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის საბოლოო რედაქციაში. ზემოაღნიშნული დაფიქსირებულია ექსპერტთა დასკვნის პროექტშიც. ამიტომ გასაკვირია, ამ ყველაფრის ფონზე მსგავსი რეკომენდაციის წარმოდგენა. დაწესებულების მოსაზრებით, დამსაქმებელთა ასეთი ფართო სპექტრის მიერ პროგრამის შეფასების შედეგები სრულიად საკმარისია პროგრამის შეფასებისა და განვითარების კუთხით.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა მე-16 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა ახალია. თვითშეფასება ასახავს ყველა აუცილებელ რელევანტურ ინფორმაციას. აქვე, პროგრამის განხორციელების კვალდაკვალ, უნივერსიტეტს ექნება მეტი ინფორმაციის განთავსების შესაძლებლობა თვითშეფასების ფორმაში. ასევე, თვითშეფასების მოცულობის გაზრდის თავიდან აცილების მიზნით, ვიყენებთ ვებმისამართების - ლინკების მითითების მეთოდს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის გადაცემის სტილის ცვლილების შესაბამისად, შეიძლება შეიცვალოს (შემცირდეს ან გაიზარდოს) უშუალოდ თვითშეფასებაში მატერიალურად დაფიქსირებული ინფორმაციის მოცულობა, მაგრამ უნივერსიტეტისთვის გაუგებარია, თუ რამ გამოიწვია ექსპერტთა ჯგუფის წევრების მხრიდან ამ „კომენტარისთვის“ რეკომენდაციის სტატუსის მინიჭება. აღნიშნულიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული #15 და #16 რეკომენდაციები, სტანდარტის „5.2 კომპონენტის“ მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების ჭრილში, არ წარმოადგენს სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის რელევანტურ მითითებას. შესაბამისად, 5.2 კომპონენტის ფარგლებში ერთადერთ ობიეტური შეფასება უნდა იყოს „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
რაც შეეხება მე-17 რეკომენდაციას, ვინაიდან ექსპერტთა დასკვნის პროექტში დაფიქსირებული მიგნებები მეორდება, უნივერსიტეტის ამომწურავი პოზიცია ლიტერატურის თავსებადობასთან, უმაღლესი განათლების მე-8 საფეხურთან შესაბამისობასა და მოქმედ რეგულაციებთან დაკავშირებით, დეტალურად არის განხილული შესაბამისი სტანდარტის კომპონენტის ფარგლებში. ამის მიუხედავად, მოკლედ ვაფიქსირებთ, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის ყველა სასწავლო კურსის შინაარსი და ლიტერატურა შეესაბამება უმაღლესი განათლების მერვე საფეხურის მოთხოვნებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიასთან ერთად, რომლის თავმჯდომარეა ფაკულტეტის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ამის მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს. ასევე, მნიშვნელოვანი, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ყველა სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტებით დამტკიცებული წესისა და დებულების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული N17 რეკომენდაცია, სტანდარტის „5.3 კომპონენტის“ მოთხოვნათა

სრულად დაკმაყოფილების ჭრილში, არ წარმოადგენს სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის რელევანტურ მითითებას. შესაბამისად, დაწესებულება მიიჩნევს, რომ , რომ 5.3 კომპონენტის ფარგლებში ერთადერთ ობიეტური შეფასება უნდა იყოს „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

19:00 საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ

საბჭოს თავმჯდომარე მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ მთავარი კონცეპტუალური ხაზი სადოქტორო პროგრამებთან დაკავშირებით არის ის რომ მოვამზადოთ მკვლევარი და პროგრამის სასწავლო კომპონენტი განისაზღვროს ისე, რომ შესაძლებელი იყოს დოქტორანტის კვლევითი უნარების განვითარება. პროგრამის მიზნიდან გამომდინარე ხდება ზოგადი ეკონომიკის მკვლევარის მომზადება, სახეზე არ არის კონცენტრაცია, ხოლო შედეგი ერთმნიშვნელოვნად მაკროეკონომიკის და პოლიტიკის საკითხებს განიხილავს. პროგრამის სასწავლო კომპონენტები ამ მიმართულებას ვერ გამოხატავს. აქედან გამომდინარე საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად ხდება ძირითადი კომპონენტების მეშვეობით სწავლის შედეგებსა და მიზნებზე გასვლა. მნიშვნელოვანია, რომ მთავარი აქცენტი გაკეთდეს დოქტორანტისთვის კვლევითი უნარების გამომუშავებაზე, რისი გამოყენებაც, მან პრაქტიკაში უნდა შეძლოს.
გადაწყვეტილების მიღების სილაბუსში რამოდენიმე პროგრამულ ენა შედარებული იყო ერთ შეხვედრაში, რისი აუცილებლობაც არ არსებობს. უნდა მოხდეს ერთ-ერთის არჩევა და მისი სწავლება ტექნიკის დონეზე. მეთოდოლოგიაში კი უმთვარესია ხელსაწყოებისა და მათი დანიშნულების სწავლება, რისთვისაც შესაძლოა პრაქტიკული კურსების გამოყენება. მნიშვნელოვანია ასევე სილაბუსებში მოცემული იყოს სამეცნიერო ლიტერატურა. მოცემული საგნის სილაბუსში განსაზღვრულია 5 სავალდებულო ლიტერატურა, რომელებიც წარმოადგენენ სასწავლო სახელმძღვანელოებს, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია, რომ დოქტორანტი მიეჩვიოს სამეცნიერო ნაშომების ანალიზსა და მათ გამოყენებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში რადიკალურად შეიცვალა სწავლების მეთოდების სასწავლო კურსი. შეიცვალა ასევე პროგრამაზე დაშვები წინაპირობები, კერძოდ, ეკონომიკის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს: კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება; ასევე, ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი, ან უნდა ჩააბაროს გამოცდა სტუ-ის საგამოცდო ცენტრში. რაც შეეხება სასწავლო ლიტერატურას, მოხდა მისი ცვლილება და განახლება. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს, ასევე ითვალისწინებს უხლე ეკონომიკურ კვლევებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მნიშვნელოვანია ასევე, რომ სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად დისერტაციის დაცვის დროს.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, კერძოდ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტთან არსებული ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორია, რაც სრულ შესაბამისობაშია ეკონომიკის დარგის მოთხოვნებთან.
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“, სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს დოქტორანტთა პრაქტიკული უნარის განვითარებას. ამ მიზანს ემსახურება პროფესორის ასისტენტობის სასწავლო კურსი. ასევე უზრუნველყოფილია სტუდენტების

სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვა. სტუ-ს დოქტორანტურის დებულების თანახმად, სტუდენტს ევალება: სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი, სულ მცირე სამი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება (დადგენილი წესის შესაბამისად); ასევე სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში მონაწილეობა (მინიმუმ ერთი მოხსენება). სადოქტორო ნაშრომის მომზადებას დარგის კვალიფიციური პირი ხელმძღვანელობს, რომელიც სტუდენტს პროფესიული კვლევითი კულტურის ფორმირებასა და განვითარებაში, სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებელი ჩატარების პრაქტიკული ჩვევების გაღრმავებაში ეხმარება და მის საქმიანობას აფასებს.
საბჭოს წევრმა, ნინო დობორჯგინიძემ აღნიშნა, რომ ,,სამეცნიერო კომუნიკაციის" ძირითადი ლიტერატურა და საკითხები შესაბამისობაში იყოს დარგთან და ასევე სწავლების საფეხურთან. ,,სამეცნიერო კომუნიკაციაში" ძირითად ლიტერატურად განსაზღვრულია ალან პიზის წიგნი ,,სხეული ენა", რომელიც წარმოადგენს უბრალოდ პოპულარულ ლიტერატურას, რომლის ინგლისურ და ქართულ თარგმანშიც შესავალშიც პირდაპირ წერია, რომ ეს არის წიგნი რომლიც დაგეხმარებათ როგორც სახლში, ასევე სამსახურში, სამზარეულოში, პაემანზე. შესაბამია, სადოქტორო საფეხურზე აღნიშნული წიგნის შეტანა არაადეკვატურია. ასევე ლიტერატურად განსაზღვრულია ბილინგუალ ბავშვებზე კვლევა რაც ასევე შეუსაბამოა პროგრამის შინაარსთან. შესაბამისად, უმჯობესია მოხდეს სავალდებულო ლიტერატურის გადახედვა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მაქსიმალურად მოხდება განსაზღვრული რჩევების გათვალისწინება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:50
დასრულების დრო: 20:10

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ეკონომიკის სადოქტორო " საგანმანათლებლო პროგრამისათვის ერთი წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 1

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის შეფასება და მე-2 სტანდარტი, ნაცვლად "მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან" შეაფასა როგორც "ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".
საბჭოს განსაზღვრა შემდეგი რჩევები და რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

ა) რეკომენდირებულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების დაზუსტება.
ბ) რეკომენდირებულია პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს მის მიზნებთ ან. ასევე, პროგრამის სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული კურსები, იყოს ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაში. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსებში სასწავლო მასალად, ძირითადად, გამოყენებულ იქნას მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები, ავთენტური წყაროები.

გ) დოქტორანტები კვლევებისას საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროებენ გარკვეულ პროგრამულ პაკეტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდირებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს ასეთი პროგრამული სისტემის/სისტემების სწავლება.
დ) უნდა შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები სწავლის თითოეული შედეგისათვის;
ე) აუცილებელია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განისაზღვროს ისე, რომ ის უზრუნველყოფდეს საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტის პროგრამით გათვალისწინებულ ვადაში მერვე დონის სწავლის შედეგების მიღწევას;
ვ) დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს და ვებ-გვერდის საშუალებით ხელმისაწვდომი გახადოს კვლევითი პროექტისადმი წაყენებული მოთხოვნები: სტრუქტურა, მოცულობა, გაფორმების და შეფასების წესი;
ზ) უნდა განხორციელდეს ცვლილებები პროგრამის სასწავლო გეგმაში და სავალდებულო სასწავლო კურსებად განისაზღვროს „მიკროეკონომიკის თეორია“, „მაკროეკონომიკის თეორია“ და „ეკონომეტრიკული ანალიზი“;
თ) კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, არჩევით სასწავლო კურსების სახით უნდა იქნას შეთავაზებული „მონეტარული თეორია“, „საჯარო ფინანსები და ფისკალური თეორია“, „ქცევის ეკონომიკა“, „შრომის ეკონომიკა“, „განათლების ეკონომიკა“, „აგრარული ეკონომიკა“;
ი) დაზუსტდეს კურიკულუმის რუკაში სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან დაკავშირების ხარისხი;
კ) სასწავლო კურსი „ეკონომიკის კვლევის მეთოდების“ სილაბუსი უნდა გადამუშავდეს ისე, რომ მან მოიცვას კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები;
ლ) სადოქტორო საფეხურის სასწავლო კურსების ფარგლებში უნდა იქნას გამოყენებული ადეკვატური, მეტწილად უახლესი თემატიკის შესაბამისი სამეცნიერო ხასიათის სტატიები, მონოგრაფიები და კვლევები, რაც უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას;
მ) დოქტორანტურის დებულებაში მკაფიოდ უნდა გაიწეროს დოქტორანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები;
ნ) დოქტორანტურის დებულებაში გაერთიანებული უნდა იყოს და საჯაროდ ხელიმისაწვდომი დისერტაციის გაფორმების აუცილებელი წესები;
ო) მიზანშეწონილია სადოქტორო პროგრამების ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილი იქნას უსდ-ს სხვა წყაროებიდან და არა მთლიანად სადოქტორო პროგრამის შემოსავლებიდან. შესაბამისად, აუცილებელია განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობის კონცეპტუალური მიდგომები (მაგ. ხარჯების ნაწილის დაფარვა), კრიტიკული ნიშნულები/ინდიკატორები, შემუშავდეს სადოქტორო პროგრამის ფინანსური მდგომარეობის შემოწმების პირობები;
პ) მიზანშეწონილია პროგრამის ბიუჯეტში ცალკე პუნქტად გამოიყოს კონფერენციების, მივლინებების, დოქტორანტთა მიერ სტატიების გამოქვეყნების დაფინანსებისთვის საჭირო თანხები.
ჟ) მიზანშეწონილია, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აქტიურად იმუშაოს პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან, აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების მიმართულებით;
რ) აუცილებელია დამსაქმებლებთან ინტერნსიური თანამშრომლობა მათ მიერ საგანმანათლოებლო პროგრამის შეფასების კუთხით;
ს) თვითშეფასება უნდა იყოს ინფორმატიული და ასახავდეს ყველა აუცილებელ ინფორმაციას ანალიზისა და შეფასებისათვის;

ტ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სასწავლო სასწავლო კურსების შინაარსისა და ლიტერატურის შესაბამისობას უმაღლესი განათლების მერვე საფეხურის მოთხოვნებთან, ასევე სადისერტაციო კვლევების გაფორმებას და მათს შესაბამისობას მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
უ) კურსები: "‚სამეცნიერო კომუნიკაცია" და "ხსეულის ენა" შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის შენაარსისა და სწავლების საფეხურთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

ა) სასურველია „ღია ეკონომიკის" სასაწავლო კურსის შინაარსის მოდიფიცირება ისე, რომ მან მოიცვას ღია ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ძირითადი პრობლემატიკა: მონეტარული და ფისაკლური პოლიტიკის, შრომის ბაზრის, საქონლისა და ფინანსური ბაზრების, ტექნოლოგიური პროგრესის და ინოვაციების საკითხები.
ბ) საურველია გასწორდეს მინიმალურ კომპეტენციის ზღვრებთან დაკავშირებული ტექნიკური უზუსტობები შემდეგ სასწავლო კურსებში: "სწავლების მეთოდები" და "ეკონომიკური უსაფრთხოება";
გ) სადოქტორო პროგრამის გარე შეფასებაში საურველია მაქსიმალურად იქნას გამოყენებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფართო კავშირები და პარტნიორული ურთიერთობები მსოფლიოს მრავალ წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ‚‚ბ" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^2 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-3, მ 3^2 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის, შესაბამისად სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია ერთი წლის ვადით.

პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით

3. მესამე საკითხი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო დაწესებულებამ ქვეყანაში შექმნილი რეგულაციებიდან გამომდინარე დააყენა შუამდგომლობა, რომ საკითხის განხილვა გადადებულიყო შემდგომი სხდომაზე, რათა კომენდანტის საათის დაწყებამდე მომზდარიყო საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის სახლში მისვლა.
საბჭომ განიხილა აღნიშნული შუამდგომლოდა და მიიღო გადაწყვეტილება დაეკმაყოფილებინა დაწესებულების მოთხოვნა და საკითხის განხილვა გადაწყდა 2020 წლის 26 ნოემბრის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე..

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 20:20 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა